ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5236706

ნომერი: AR1795074

თარიღი : 17.12.2020

გაცემის თარიღი : 25.12.2020

გაცნობის თარიღი : 25.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ხოჯელანი პ/ნ 01006014753
- თბილისი, დ/მ VIკვ; კორპ.5ა; ბ.3

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: ს/კ 206155328
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: ს/კ 206155328

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოჩა ხოჯელანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 17 დეკემბრის AR1795074 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N16-ში (ძეგლი) საქართველოს სავიაციო უნივერსიტეტის შენობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობი ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1..საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- არ არის წარმოდგენილი ტოპოგეგმა ხე-ნარგავებისა და ხაზობრივი ნაგებობების ჩვენებით; საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს ხაზობრივი ნაგებოების მესაკუთრეთა პოზიციები;
- არსებული გენგეგმა;
- საპროქტო გენგეგმაზე დატანილი იქნეს ღერძები, ღერძებს შორის მანძილები; საპრექტო გეგმაზე ნაჩვენები იქნეს საპროექტო შენობასა და ხე-ნარგავებს შორის მანძილები;

2..კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:

- არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით (არსებული, საპროექტო);
- ხდება არსებული შენობის დაშლა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი ანაზომები;
- არ არის წარმოდგენილი საპროექტო ჭრილები;
-საპროექტო „ბ-ა“ ფასადის მხარეს გეგმაზე მითითებული იქნეს საკადასტრო საზღვრამდე მანძლები, დაცული იქნეს სამეზობლო მიჯნები;

3. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ასევე საპროექტო სამუშაოების (დშლა და ახალი მოცულობის აშენება) მომიჯნავე შენობაზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებით;

4..მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პორექტი - ტექსტური ნაწილი, სამშენებლო გენგეგმა დროებითი სამშენებლო ღობისა და ტექნიკის ჩვენებით; იმ შემთხვევაში, თუ ღობე სცდება საკადასტრო საზღვრებს, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა;

5..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები დღეის მდგომარეობით, დათარიღებული;

6..ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილი იქნესფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან მასალის, ზომების, ნიშნულებისა და ფერის კოდის ჩვენებით;

7. წარმოდგენილ იქნეს შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.;

8. წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან თან უნდა ერთვოდეს თანხმობის გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

9. დამკვეთის ინფორმაციაში შესაბამის ველებში მიეთითოს შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დირექტორი და მისი პირადი ნომერი;

10. კონსტრუქციული პროექტი არ არის მისაღები, პროექტი მიზანშეწონილია გაფორმებული იყოს ქართული ასობგერებით და მითითებული იყოს მისამართი და საკადასტრო ნუმერაცია

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება

განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.